



საზოგადოებრივი-პოლიტიკური გაერთიანება

№23 . 1991 წ

გაგონის 1989 წლის ივლისიდან


ეროვნული კონგრესის გავარტოვებული სტრუქტურა

1991 წლის 1 იანვარს გაიმართა საქართველოს ეროვნული კონგრესის გაფართოებული სხდომა. გადაჯიშვით მასზე ირაკლი წერეთლისა და ირაკლი ბათიაშვილის მიერ წარმოდგენილი სიტყვების სტრუქტურაზე განხილვა.

ირაკლი წერეთელი

ნამდვილი მშენებელი, მებრძოლი, საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობით, დღევანდელი სხდომა მუშაობას იწყებს ძალზედ მძიმე პირობებში, პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა და გამწვავდა ჩვენს ირგვლივ. ამ სიტუაციის სიმწვავეს განაპირობებს ის, რომ სიტუაცია განწვავებულია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს იმპერიაში, და შეიძლება ითქვას ნიჭის მსოფლიოში. რა თქმა უნდა ქართველებისთვის ყველაზე დიდი ტკივილის საგანია საქართველო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისეთ საუკუნეში გვიხდება ცხოვრება, როცა სხვადასხვა ქვეყნების ადამიანთა ბედი ერთმანეთს არის გადაჯავჭვული, საქართველოს ეროვნულ პრობლემებს მივუდგეთ საერთო გადმოსახედოდ. რამდენად მრავალგვაროვანიც არ უნდა იყოს ის პროცესები, რომლებიც საქართველოში მიმდინარეობს, მე მიმაჩნია, რომ ეს არის ერთ სპექტრში გაერთიანებული დიდი პოლიტიკა და თუ ჩვენი სატკივარი არ ჩაჯდა ამ დიდ მსოფლიო ინტერესებში, რა თქმა უნდა საქართველოს ვერანაირად ვერ ეშველება. მე პრინციპულად მომხრე ვარ იმ აზრისა, რომ საქართველოს ბედი მარტო საქართველოში არ წყდება და ისევე წყდება ჩვენი ბედი სხვა ქვეყნებში, როგორც თუნდაც 1989 წლის 9 აპრილმა მნიშვნელოვანწილად იმოქმედა საქართველოდან თუნდაც შორს მყოფი ქვეყნების ბედზე. მე იმ აზრისა ვარ, რომ თუ ჩვენ ღირსეულად ვიბრძობდით იმისათვის, რასაც ღმერთი თავისუფლება ჰქვია და წინააღმდეგობა ვარ საქართველოში კიდევ ერთხელ გამოიწველება სხვა ერების თავისუფლების ბედი.

მიზანშეწონილი არ იქნებოდა გველაპარაკა მხოლოდ სამარბალოს ამბებზე და არ გვესაუბრა ბალტიისპირეთში და ქუვეთში მიმდინარე ამბებზე. იმიტომ, რომ მე დაწინაურებული ვარ, ეს მოგვინებდა საოცრად არიან ერთმანეთზე გადაჯავჭვული. უპირველეს ყოვლისა მინდა შევეხებო იმპერიაში ბოლო ხანებში დატრიალებულ მოვლენებს. გარდაქმნის საჯაროობის და დემოკრატიზაციის პოლიტიკა, რომელიც ოფიციალურად იქნა გამოცხადებული კრემლის მიერ, გორბაჩოვის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდგომ, არ ითვალისწინებდა იმპერიის დაშლას, პირიქით, ეს არის, შეიძლება ითქვას, გენი-ალურ დონეზე დადებული დიდი პოლიტიკური თამაში, რომელიც სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, პოლიტიკური განთავისუფლებით დაწყებული, სიტყვის, თავისუფალი გამოსვლების დაშვებით და ბოლოს ოკუპირებულ, ანექსირებულ ქვეყნებში მრავალპარტიულობის, საყოველთაო, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებით, მიზნად ისახავდა მხოლოდ იმპერიის, როგორც ერთიანი სახელმწიფო სუბიექტის მდიანობის შენარჩუნებას და საბჭოთა იმპერიისათვის თანაღმერთვე, დემოკრატიული, ცივილიზაციის მეტ-ნაკლებად



მისაღები იერის მიცემას და აქვენი წარმოდგენით ეს მიზნები საკმაოდ წარმატებით განხორციელდა სსრკ-ში და განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ძლიერი კერები წარმოიშვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და უჩვეულო იმაში, რაც ლიტვანში მოხდა არაფერი არ არის, ეს რა თქმა უნდა ისეთივე შეშინავენი ფაქტია, როგორიც დიდიბრისა და ბაქოს ტრაგედიები, მაგრამ არაფერი უჩვეულო აქ არ მოხდებოდა, ეს სრულიადაც არ უნდა მივიჩნიოთ ჩვენ გარდაქმნის და დემოკრატიზაციის პროცესის დასასრულად, რადგან დასასრული არ შეიძლება ჰქონდეს იმ მოვლენას, რომელსაც დასაწყისი არ ჰქონია და რომელიც სინამდვილეში არც არსებობს, ასე, რომ ზოგიერთის განცხადება იმაზე, რომ იწყება დიქტატურა არასწორია, რადგან დიქტატურაზე სსრკ-ს არასოდეს არ უთქვამს უარი. იგი დროგამოშვებით სისხლისღვრას უწყობს დაპყრობილ ერებს, რომელთაც ყველაფერს აძლევს გარდა სსრკ-დან გასვლის უფლებისა. მთელი უბედურება ის არის, რომ მთელი იმპერიული აგრესია მხოლოდ მაშინ ხდება საზოგადოებისათვის დასანახი, როდესაც სისხლი იღვრება. 9 აპრილს თბილისში სისხლი რომ არ დაღვრილიყო, რომ არ დაღვრილიყო სისხლი ლიტვანში, იგივე ქართველი ხალხისათვის და ნებისმიერი საზოგადოების უმრავლესობისათვის ძალიან მწველი დასამტკიცებელი იქნებოდა ის ამბავი, რომ, საერთოდ, არსებული რეჟიმის რაღაც აგრესია ვრცელდება.

მე მიმაჩნია, რომ ნებისმიერი საქმის კეთება დაშვებული შეცდომების გამოსწორებით იწყება და დღეს, როდესაც სისხლი დაიღვრა ლიტვანში ჩვენ არ უნდა დავუშვათ ის, რომ განმეორდეს ის შეცდომა, რომელიც 9 აპრილის შემდგომ დავეშვიძეთ. კომუნისტების საათის შემოღების შემდეგ, ერთ მუშტად შეკრული ქართველი ხალხის ენერჯია დაიხარჯა მარაზამდე მისულ თეატრალურ დონეზე დადგმულ სამშლეთიარო ცერემონიალებში, იმის მაგივრად, რომ დიდი მიზნებისათვის ხელახლა დაგვეწყობა მძალადრი აქციების ახალ-ახალი ნაკადი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ყოველდღიური, უწყვეტი, მასობრივი ხასიათი მიგვეცა ქართველი ერის დეოკუპაციისათვის ბრძოლისათვის. იერი სიტყვით, 9 აპრილი კი არ უნდა გვექცია რაღაც ნათელ მოვლენად, არამედ იგი უნდა ყოფილიყო ყოველდღიური მოვლენა ჩვენს სინამდვილეში. ეს რომ არ მოხდა, ეს მე მიმაჩნია დიდ შეცდომად, უკანდახევად და დამარცხებად. ქართველი ინტელიგენციის უადრესაღ პატიოსანმა, მაგრამ გულბრწყველ ნაწილმა რატომღაც მაინცდამაინც ვენერალი

როლიონოვი ამოიკიმა და მხოლოდ რიგით სალაფონსა და პატიამვილს გამოუცხადა ბრძოლა. მათ არაფერი გაუყვებოდა იმისათვის, რომ ბრალი დაედოთ უშუალოდ 9 აპრილის დანაშაულებათვის - იმპერიისათვის და მისი ხელმძღვანელობისათვის. ასე, რომ საჭირო იყო გაშლილი დიდი პოლიტიკური კამპანია, რაც მცდელობა მაინც იქნებოდა გაერთიანებული სსრკ-ს მიმართ აღმრულიყო საკითხი 1921 წლის თებერვალში დაწყებული ხანგრძლივი აგრესიის გამო. რა თქმა უნდა, გაერთ, ასე უცხად და ასე მარტივად სსრკ-ს მიმართ არავითარ საკითხს არ აღმრავდა, მაგრამ ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის მიიღებდა უფრო მაღალ, მიზანსწრაფლ ხასიათს. ჩვენ გავერთეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ყოველ უაზრო აქციებით, ამ დროს კი მტერმა შემოგვიტია აფხაზეთიდან, სამარბალოდან და ქართველი ერი მოწყვტილი თავისუფლებისათვის ნაღდ და უკომპრომისო ბრძოლას და ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა გადაისროლა ფიქტიური ხელისუფლების არჩევნისა და სოციალურ ინტერესთა დაკმაყოფილების ფრონტზე. ხალხის დიდი უმრავლესობის მონაწილეობით საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებით 1990 წლის 28 ოქტომბერს კრებულმა წარმატებით დაავიკრავინა ეროვნული მოძრაობის სოციალურ მოძრაობაში გადაყვანის გეგმა. მაგრამ, მაღლობა ღმერთს, საბოლოოდ არ გავიწირეთ და საქართველოს ეროვნული კონგრესის სახით არსებობს ძალეში, რომლებიც იბრძობენ ღმერთის თავისუფლებისათვის.

ჩვენ, როგორც არ უნდა გავიჭირდეს ამის თქმა, ქართველ ხალხს უნდა ვუთხრა, რომ დღეს ქართველი ხალხი საქართველოს თავისუფლებისათვის აღარ იბრძვის. აი ეს აშკარად დაიწყო მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში გასვლის მოთხოვნით ფორმირდნა გაგიდნენ ის ორგანიზაციები, რომლებმაც შექმნეს მრგვალი მაგილის პოლიტიკური ალიანსი. ე.ი. ყოფილი შეურიგებელი ოპოზიციის წარმომადგენლების ხელისუფლების სათავეში გასვლით მოხდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმდინება, რა თქმა უნდა დროებით.

ახლა კონკრეტულად პოლიტიკურ აქციებთან დაკავშირებით, პირველი, რაც ჩემი აზრით უნდა გაკედეს არის ის, რომ თბილისში უნდა ჩატარდეს სპეციალური კონფერენცია, რომლის მუშაობაში ჩემის აზრით მონაწილეობა უნდა მიიღონ ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, უკრაინის, მოლდავიის და რუსეთის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მოძრაობების წარმომადგენლებმა როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების მხრიდან. ეხლა ორივე სიტყვა იმის შესახებ თუ რა უნდა გააკეთოს ამ კონფერენციამ: უნდა შეიქმნას საბჭოთა იმპერიის მიერ ოკუპირებულ ერთ ანტიიმპერიული კოალიცია, აი ეს უნდა გაფორმდეს და სასურველია ეს მოხდეს საქართველოს დედაქალაქში, რადგან საქართველო, თავისი ისტორიული და პოტენციური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ყველაზე დიდ სიტყვას იტყვის რუსეთის იმპერიის დანგრევაში. არჩეულ უნდა იქნას ოკუპირებულ ერთ ანტიიმპერიული კოალიციის ხელმძღვანელი, მაკორდინირებელი ორგანო. ყველა მხარეს უჭაბ-მინებთ უნდა ჰქონდეს თავიანთ დედაქალაქებში. მათ მიერ უნდა იქნეს მიღებული რეზოლუციები რესპუბლიკების დეოკუპაციისაზე და ისინი გაიგზავნოს გაეროს სახელზე, საბჭოთა კავშირზე, როგორც აგრესორზე პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით და მაღლობა ღმერთს, ასეთი წინადადება ჩვენს გარდა წამოსულია უკრაინიდან, ესტონეთიდან და ფაქტურად ამის განხორციელება მხოლოდ მონღოლების საქმეა. როცა ეს კოალიცია დაფუძნდება, მისი წარმომადგენლები საზღვარგარეთ უნდა გაიგზავნონ და მათ უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მიაღწიონ იმას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში ორიდოლად დააფიქსირონ და თავიანთ რაღაც გარკვეულ რეგლიმ შეიყვანონ ეს პარიტეტული, საერთო საკავშირო, განმათავისუფლებელი, ანტიისაოკუპაციო და ანტიიმპერიული ორგანიზაციის არსებობის ფაქტი.

შემდეგ კოალიციამ უნდა გააკეთოს მოწოდება საბჭოთა ჯარებში მოსამსახურე ჯარისკაცებისადმი, იმპერიული ჯარების მიტოვებისა და სამშობლოში დაბრუნების შესახებ. დროა დაიწყოთ პროკლამაციების გავრცელება სამხედრო ნაწილებში. ერთადერთი ძალა, რაზეც ეს იმპერია დგას, არის შეიარაღებული ძალები, ამიტომ მასში დისციპლინის რღვევას და დესტაბილიზაციის განვიითარებას, საქართველოს ტერიტორიაზე მაინც, ეროვნულმა კონგრესმა დიდად უნდა შეუწყოს ხელი.

ირაკლი ბათიაშვილი

თვითონ სიტუაცია, როგორც 9 აპრილის შემდგომ, მართლაც საუკეთესოა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი ძალისხმევა ერთმანეთთან მაქსიმალურად კოორდინირებულად უნდა წარვმართოთ. მასში უნდა ჩაებან ყველა ის ერები, რომლებიც იბრძვიან იმპერიიდან გასვლისათვის. ამიტომ, ჩემი აზრით, ძალზედ დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ თბილისში ჩატარდეს საგანგებო კონფერენცია, სადაც უნდა შევექმნათ განთავისუფლებული საკოორდინაციო ორგანო - ანტიიმპერიული კოალიცია და იმის დამოუკიდებლად შევქმნათ თუ არა



ჩვენ ამ კოალიციის მიერ წარგზავნილი დელეგაციების მიერ რაღაც აღიარებისა და სტატუსის მოპოვებას საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან ეს იქნება უდიდესი მოღწევა. მე სხვათაშორის არ ვიყავი მოხრე ერთმნიშვნელოვნად და სწორსაზრთვლად მეტკიცებინა ის, რომ ძალზედ ცუდი რამე მოხდა, რომ არჩევნებში მრგვალი მაგილაი გაიმარჯვა, მაგრამ მართლაც ძალიან გარუფლებულ სიტუაციაში მოვხვდით. აი ახლა, ჩვენ აქვია რომ ჩავატა-დასასრული მე-2გვ.



რედაქციისათვის: აღბათ მკობელების გარკვეული ნაწილი ინტერვიუში გამოთქმულ მოტივებს არ გაიზიარებს, მაგრამ ვინაიდან...

ბრძანებით "ანტიკომუნისტური ბრძოლის სახელით" უნდა ამოვიტოვოთ I0000...

ეს არის ძველი კოლიდა, ქვეყანა, სადა იაზონი გაემგზავრა ოქროს ვერძის...

საქართველოს პოლიტიკური კონგრესის II სესიონი

1990 წლის 30 ნოემბერს მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნული კონგრესის II სესიონი...

სესია გახსნა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ, ირაკლი წერეთელმა...

თანამდებობებზე გამოვიდნენ: ირაკლი წერეთელი, ვაჟა მთავრიშვილი, გიორგი ჭანტურია...

კონგრესის სხდომის მონაწილეებმა აღმოაჩინეს და დაგმეს ამერიკის საგარეო...

კონგრესის ამჟამინდელი დამტკიცებული ეროვნული კონგრესის ორგანიზაციული სტრუქტურა...

ასეთი იყო საქართველოს ეროვნული კონგრესის II სესიის მუშაობის მიმდინარეობის ძირითადი შინაარსი.

ივანე ჯავახიშვილი

საქართველო: უკეთესი „პატარა იმპერია“ Géorgie : le « petit empire » éclaté



L'ancienne Colchide prépare ses premières élections libres dans l'anarchie. Débarrassée du communisme, cette république riche, à l'avenir prometteur, se déchire dans des luttes politiques, ethniques et religieuses. Un test capital pour le Kremlin.

საბჭოთა საქართველო ადგილობრივი პატარა იმპერია, ფრანგულ ყურნალ "ექსპრესის" 31 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა...

ზვიად გამსახურდიას ვებგვერდიდან მიღებული მანქანის აღრიცხვით დაძვრამდე დაუღვერად ისწორებს თავის Smith and Wesson -ს /იარაღის სახეობა - მთარგმნ./...

კომუნისტებისაგან თავდასუფთავებული საქართველო კალიფორნიად გადაიქცევა თუ ღიბანად? უფრო კონკრეტულად: აირჩევა თუ არა პარლამენტი და კანონიერი ხელისუფლება...

კალიფორნია? არც ეს არის გამორიცხვადი. "ჩვენ მალე გავმდირდებით" - ამბობს ოკამის ღვინის ქარხნის დირექტორი შოთა სხირტლაძე...



რე - ჰყვება მარიონეტების თეატრის დირექტორი რეზო გაბრიძე - მე ვნახე "მოსკვირი"...

განსხვავებული სტილის კოგ-ბოი, ზვიად გამსახურდიას თავის მწერალ მამის სახელმწიფოში ამბობს: "ეს კრემლს სურს სამოქალაქო ომი საქართველოში და არა ჩვენ!"

70-იანი წლების ექსტრემიზმის გულაგადან გათავისუფლება არც თუ ისე სამაგიერო სატილევიზიონ ალსარების შემდეგ. იგი არავის არ ინდობს, არც კომუნისტებს და არც ეროვნული მოძრაობის მეთაურებს - მოსისხლე მტრებად გადაქცეულ ძველ თანამებრძოლებს, უწოდებს რა მათ "ერის მტრებს" და "იმპერიის აგენტებს".

მეორე არის მანიპულირებული, ყველაფერი იქედან მოდის". გამსახურდიას პირველი სამიზნეობა 31 წლის გიორგი ჭანტურია - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე, 28 წლის ირაკლი წერეთელი...

საქართველოში ეროვნულ გრძნობებს და პოლიტიკურ სიტუაციას სულ სამი თუ ოთხი პარტია ღვობს /ახლადარსებული I30 პარტიიდან/. ისინი კიბეზამდე არიან შეიარაღებულინი. ბოლო, რამდენიმე თვის განმავლობაში უკვე თვლა აღარ აქვს ქუჩებში სროლებს საზოგადოებრივ შენობებზე თავდასხმებს.

პარტიებმა, რომლებიც ბოიკოტს უხვადებენ 28 ოქტომბრის არჩევნებს "სახალხო" არჩევნების შედეგად შექმნილი "კონგრესი" - კონტრაპარლამენტი - დამკვიდრეს ყოფილ მარქსისტ-ლენინისტების შენობაში. გამსახურდიას პარტიამ I7 სექტემბერს შეტევით აიღო KTE-ს შენობა, მანამდე კი მას აღებული ჰქონდა კომკავშირის ცკ-ს შენობა, რომელსაც ღვობს იცავდნ ჩამოხრჩობილის სახიანი, დაკუნთული მებრძოლები. ყველა ამ შემთხვევაში პოლიცია არ ჩარეულა. რა არის ეს? ცენტრთან შეთანხმებული მოქმედება? საეჭვო პასიურობა, თუ უმწიფობა?

ვინ მართავს ღვობს თბილისს? ცოტათი ყველა. უკვე აღარავის შეუძლია ახლადშექმნილი შეიარაღებული დაჯგუფებების განიარაღება. კომპარტია ველარაფერს უწევს კონტროლს. და მხოლოდ ბაქმიუტობს "ახალი აზროვნების" სახელით. რაც შეეხება ადგილობრივ პოლიციას, რომელიც დაკომპლექტებულია ძირითადად ქართველებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ იგი მილიანად განიარაღა მოსაღწეველი ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით.

საბჭოთა საქართველოში ღვობს ყველაფერს იშვით იარაღის ტარების უფლების გარდა. სამაგიეროდ დიდი წარმატებით მუშაობენ იარაღის გადაწყვიტვები: ამერიკული საინჟინრო თოფი M-16 ან ისრაელური ავტომატური პისტოლეტი USI ირანიდან შემოაქვეთ ბათუმელ და სხობმელ მებრძოლებს, მაკაროვის პისტოლეტები მოპარულია პოლიციაში, კალაშნიკოვის ავტომატის შოვნა შეიძლება ყოფილ "ავღანელებთან" და ადგილობრივ დეზერტირებთან. გადაწყვიტვები თავს იმართლებენ: "რას იზამ, ქართული ტრადიცია გვაძლავს..."

ყველაფერი რაც საქართველოში ხდება შეიძლება ჩაგვეთვალოს რთულ გარემოებად პერიოდად, ან კიდევ ზომიერ მეტ თავისუფლებად სამოცდაათწლიანი დიქტატურის შემდეგ, რომ საქართველო, როგორც ამბობდა სახაროვი, დეიბონე არ იყოს "პატარა იმპერია". საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ბოლშევიკებმა დაიწყეს ოსებისა და აფხაზების შევიწროება. ღვობს ეს ადმინისტრაციული დანაყოფები ეროვნული მოძრაობის მიერ შეფასებულია როგორც "კრემლის მე-5 კოლონია". აღსანიშნავია ისიც, რომ უმნიშვნელო საკითხის გადასაჭრელად ეს ეროვნული უმცირესობები დახმარებისთვის

/დასასრული მე-4გვ./

დასასრული

მიმართავენ მოსკოვს ახლაზე და ოსეთი /28 ოქტომბრის არჩევნებს აქაც ბოიკოტს უხმადებენ/, გადაიქცნენ ღენთის კასრებად...

აი რა მოხდა სოხუმში გასული წლის ივლისში: სოხუმის უნივერსიტეტში, ამ ადგილზე დაწესებულებაში სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე...

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალის ცენტრალურ მოედანზე ირევა რამდენიმე ათასი ხშირწვერიანი კუმბი სახე...

გასულ ზამთარში ოსებსა და ქართველებს შორის აღვიდა უკონდა უკიდურეს დაპირისპირებას. 10000-ზე მეტი შეიარაღებული ქართველი პატრიოტი გაემგზავრა დედაქალაქში...



რუსეთი "იმერია" და მეტი არაფერი - ამბობენ ქართველები, მან მხოლოდ განიშტოვა თავისი ბატონობა საქართველოში...

ცენტრალური კომიტეტის უზარმაზარი შენობის მერვე სართულზე, თავის დიდებულ კაბინეტში ვაჟა გურჯინი ბელს და მომრჩილებულს ჰგავს...

მიუხედავად ყველაფრისა, კომპარტია იმედს მაინც არ კარგავს. ჯერ ერთი, მის 400000 წევრს უმუშევრად დარჩენის არავითარი სურვილი არ აქვს...

Bernard Lecomte

კვანთოთ გააგაულ დედასთა თარკუი

"ახალგაზრდა ივერიელის" 20 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის განცხადება. სამწუხაროდ, ქალაქის დედაცენტრის გამო, მათ მთლიანად ვერ შესძლეს ტექსტის სრულად დაბეჭდვა...

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ "დროების" 22-ე ნომერში დაიბეჭდა მარიამ ღერმანიძის მეგობრული შარტი...

ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენი მეგობრების პროგნოზი გამართლდა, უზენაესი საბჭოს რომელიც უნდა ადგენდეს, დაახლოებით 200 კაციანი ჯგუფი, ამა წლის 14 დეკემბერს მიეჭრა თავისუფლების მოედანზე...

მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური კარიკატურის ინსტიტუტი. ამერიკის, ინგლისის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებში ხშირად შეხვდებით ამა თუ იმ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის მეგობრულ შარტს ან კარიკატურას...

ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ოპოზიცია მშვიდობიანი, პოლიტიკური ხერხებით უპირისპირდება ხელისუფლებას. სამწუხაროდ ეს ელემენტარული ჰუმანიტარული ნორმა ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი და ისინი ოპოზიციის მიმართ მტრულად განეწყვიტნენ...

ტიკოსთა ჯგუფები საოკუპაციო არმიის მოსამსახურეებისადმი არ გამოხატავენ ისეთ არაკეთილგანწყობას, როგორც ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ.

ფანატიკოსთა ჯგუფები, რომლებიც უმეტესად წილგანი ქალები სჭარბობენ და რომლებიც არცერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ წარმოადგენენ, ხელოვნურად დაბავებენ ისედაც გართულებულ პოლიტიკურ სიტუაციას...

საქართველოს უზენაეს საბჭოს და ეროვნულ კონგრესს ერთი მიზანი აქვთ - საქართველოს განთავისუფლება და ახლა ყველაფერმა ერთად მთელი ძალისხმევა ამ მიმართულებით უნდა წარებართოდ და თავი დაენებოთ ერთმანეთში კინკლაობას და წრეგადასულ დავას.


ეს პირველი შენობებია არ არის, როცა გაზეთ "დროებს" არაკეთილგანწყობიანი ხერხებით უსწორდებიან. მკითხველებს შევახსენებთ, რომ ამ რამდენიმე თვის წინ ლავროს და გალაფრეს გაზეთის რედაქციის ოთახი. საინტერესოა რას გვიპირებენ ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები მომავალში?...

გაზეთ "დროების" რედაქციის სახელით

კ. როგოვაძე, ვ. ტუნდელია

P.S 1991 წლის 22 იანვარს თავისუფლების მოედანზე განხორციელდა მოხდა გაზეთ "დროების" დაბეჭდვა შეიარაღებული ტერორისტების მიერ.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვხვდებით მარგარეტ ტეტჩერის, ცაცვლავ პავლისა და ლენ ვალენსას მეგობრულ შარტებს, რომლებიც "ვაშინგტონ პოსტში" და "ინტერნაციონალ პერალ ტრიბუნაში" გამოაქვეყნეს...



WASHINGTON POST



იპოკრატული ჰიკრი

როგორც იცით კონკრეტულ მდგომარეობაში ფართო ასოზიში არის წარმოდგენილი უცხოური კვების პროდუქტები, მაგრამ არც ამ ნაწარმის რეალიზაციის და არც მომხმარებლებს არ აინტერესებთ ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი გავლენის საკითხი...

საკრძალ უსიამოვნო ფაქტებია, მაგრამ ვერ ვიქნებით საჩინოებიანი ამაში მხოლოდ უცხოელებს თუ დავაღანამაულებთ, რადგან უცხოელი არც ჩვენი თანამემამულეები არიან...

კვების და სხვა ნაწარმის ნუსხა ამოღებულია გაზეთ "DIGEST"-დან № 21 /28/ 1990

კვლო სკაით!

1991 წლის 26 იანვარს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი და სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა ნათია ნარსიაშვილმა ჯვარი დაიწერეს. გაზეთ "დროების" რედაქცია ულოცავს ახლად დაქორწინებულებს გაბედნიერებას. უსურვებს ბედნიერებას, სიყვარულს და მრავალშვილიანობას.

